რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა. . 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ. |
| ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი, ხშირ-მოთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე ...
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ «დროებაზედ» ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

ივნისის პირველის რიცხვების ნომრები რედაქციაში მღარ არის.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი».)

**პეტერბურღი, 11 ივნისს.** გუშინ პეტერჰოფში ხელმწიფე იმპერატორს წარედგინა დეპუტაცია მოსკოველ ნემეცების კოლონიისა, რომელმაც მისალოცავი ადრესი მიართვა; ადრესში სწერია, რომ ორას წელიწადზედ მეტია, რაც ნემეცებმა ძველს სამეფო სახლისადმი მადლობის განცხადებით და ერთგულის შრომით გამხდარიყვნენ ღირსნი იმპერატორის წყალობისა; რომ ყოველთვის თანაუგრძნობდენ ჭირსა და სიხარულში ერთგულს რუსეთის ქვეშევრდომებს და ეხლაც მხურვალე მონაწილეობას იღებენ რუსეთის დიდებულს დღესასწაულში. ხელმწიფემ მადლობა გარდაუხადა დეპუტატებს და რამდენსამე ხანს ესაუბრა.

გამოცხადებულია ის წესები, რა წესებითაც შოსეს გზები დროებით ერობათა ზედამხედველობის ქვეშ უნდა გადავიდენ.

**პეტერბურღი, 12 ივნისს.** გუშინ შუადღისას მიიტანეს პეტერბურღში იმპერატორის რეგალიები; რკინის გზის სტანციიდამ ოქროს კარეტებით წაიღეს საზამთრო სასახლეში, სადაც სასახლის მინისტრი და ობერ-ჰოფმარშალი იცდიდენ. გადატანაზედ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მინისტრმა მიიღო რეგალიები და ბრილიანტების ოთახში თავ-თავის ალაგას დააწყო.

შინაგან საქმეების მინისტრის ამხანაგი, დურნოვო ერთის თვით დათხოვნილ იქმნა. დროებით იმის ალაგას იქნება სამინისტროს რჩევის წევრი—მარტინოვი.

ჟურნალ «ზედამხედველს» (Наблюдатель) გამოეცხადა პირველი გაფთხილება მავნებელ მიმართულებისათვის.

რადგან მუხის ტყეები უწყალოდ იჩეხება, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს მუხის ტყეების გაშენება სავალდებულო გახადოს.

გაზეთები ამბობენ, რომ პეტრე დიდის ძეგლისათვის პეტერჰოფში სკულპტერმა ანტოკოლსკიმ მიიღო ერთბაშად 40,000 ფრანკი და 4,000 მან. პენსია.

ლამანსკი წავიდა მოსკოვში და ვოლგის ნაპირას მდებარე ქალაქებში მასალების შესაკრეფად თავის თხზულებისათვის ფინანსებზედ.

**ივანოვო ვოზნესენსკი.** ერთს აქაურ ქარხანაზედ გასკდა მაშინის ქვაბი. ერთი კაცი მოკვდა და შვიდი დაშავდა. შენობაც დაზიანებულია.

**ტამბოვი.** ნოვო-ხოპერის მაზრაში კალია გაჩნდა და ჯარი აწყობს.

**პარიჟი.** პარიჟის არეულობაში დასწრებისა და კომმუნისტურ პროპაგანდაში მონაწილეობის მიღებისათვის ლუიზა მიშელს გადაუწყვიტეს ექვსს წელიწადს ციხეში ჯდომა, პუჟეს—რვა წელიწადს. სამს სხვა დამნაშავეს—მცირე სასჯელები დაუნიშნეს. დანარჩენები გაანთავისუფლეს. გაკოტრებულ ბონტუსა და ფედერს სარჩივარი სისხლის სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ გასაციის პალატამ უყურადღებოდ დასტოვა.

თბილისი, 13 ივნისს.

დღევანდელს „ახალს ამბებში" მკითხველი წაიკითხავს ზუგდიდიდამ გამოგზავნილ ამბავს ს. მაკვანეთში საქონლის ჭირის გაჩენაზედ, რომელიც თუმცა «ახალს ამბებში» მოექცა, მაგრამ რომელზედაც ასედ ითქმის— «არ ახალია—ძველია». იქნება სოფ. მაკვანეთისათვის ეს ამბავი—ახალი იყოს, მაგრამ ჩვენის ქვეყნისათვის ისე ძველია, რომ წელიწადი არ გაივლის, სადმე ამ ჭირმა თავი არ იჩინოს და ისედაც გაღატაკებული სოფლები არ გაანადგუროს. ეხლაც ეს ჭირი ჯერჯერობით მარტო ერთს სოფელში, ოზურგეთის ახლო, დაბუდებულა, მაგრამ, როგორც კორრესპონდენტი გვწერს, თუ მალე არ ეშველა, ამ სოფლიდამ სხვა სოფლებსაც მოედებაო.

მაშ შველაა საჭირო, და შველა საჩქარო. ეხლა იმისათვის არ გვცალიან საზოგადოდ საქონლის ჭირის მიზეზებზედ ვილაპარაკოთ და მკითხველს მოვაგონებთ მხოლოდ, რომ უმთავრესი მიზეზი საქონლის ჭირის გაჩენისა არის უსუფთაობა და ამ მიზეზის, ბევრად თუ ცოტად, მოსპობა შეუძლიანთ იმ პირებს, რომელნიც სანიტრებად არიან დანიშნულნი. მაგრამ, რაკი სოფელში ერთხელ ჭირმა თავი იჩინა, მარტო სუფთაობა არა კმარა მის მოსასპობად. თვით საუკეთესოდ განვითარებულ ქვეყნებშიაც ჯერ-ჯერობით ვერ გამოუკვლევიათ ნამდვილი მიზეზი ამ სენისა და რომლისაც მის მოსპობაზედ მიდგება ხოლ-

«დროების» ფელეტონი 14 ივნისი.

## სათავად-აზნაურო სკოლის გამო

(დასასრული*)

მეორე ამ საქმეში უსაჭიროესი კითხვა, გახლავთ შეგნება, გამოკვლევა იმ მიზეზთა, რომელთაც გამოიწვიეს ეს განხეთქილება. ამ წლიურ სკოლის საზოგადო კრებაში ხანგრძლივი ბაასი ატყდა ამ მიზეზთა თაობაზე. ერთმა გამგე წევრთაგანმა ეს უკმაყოფილება დააბრალა ერთ საწყალს კაცს, რომელსაც შარშან «დროებაში» რაღაც პაწაწინა წერილი დაეწერა ამ ურთიერთობის შესახებ. თქვენ რო თქვენის აზროვნობით არ შეჩრილიყავით ამ საქმეშიო, გამოდიოდა იმის სიტყვებიდგან, სრულიადაც არ მოხდებოდა ის არეულობაო. ისეთი გარემოებანი დაერთვა ამ ალშფოთებით წარმოთქმულს სიტყვებს, რო მოკამათემ, როგორც ჩვენ ნამდვილად ვიცით, თავი შეიკავა და ხვედრი პასუხი არ უგო. და თუ ამ წერილში დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი, იმიტომ კი არა რო გამოვესარჩლოთ ტყუილად შეგინებულს კაცს, მაგას გონებაშიაც არ გავიტარებდით, არამედ იმიტომ რომ ამ გვარი ყვედრება საკვირველი საქმის გაუგებრობაა. ეს სწორედ ეგვანება იმას რომ ძოლანდელი სეტყვა მერის მებაღეებმა მე დამაბრალონ. სად იყო ის ვითომ ამრევი პირი, ამ სამი ოთხი წლის წინად, როცა მაშინდელ ინსპექტორსა და ერთს გამგე კამიტეტის წევრს შუა უკმაყოფილება ჩამოვარდა; სად იყო ის, როცა ცოტა ხნის შემდეგ სამმა მასწავლებელმა სკოლას თავი დაანება, ბოლოს სად იყო ის შარშან წინ, როცა არა ერთხელ და ორჯერ მოხდა შეტაკება მასწავლებელთა და გამგე კომიტეტის წევრთა შორის? მაშასადამე ხსენებული პირი აქ არა შუაშია და საკვირველიც არის კერძო პირზე მითითება, აქ მიზეზი უფრო ერთობრივია; ხვალ იქნება თქვენცა და თქვენი მოკამათეც და აწინდელი მასწავლებლებიც სრულიად მოშორდენ სკოლის ასპარეზზს, მაგრამ თუ ეს მიზეზი არ მოისპო ამ კეთილ საქმეს უსათუოდ თავი მოეკვეთება.

ეს მიზეზი მდგომარეობს ერთის მხრით იმ განუსაზღვრელ უფლების მოთხოვნილებაში, რომელიც მინიჭებული აქვს წესდების ძალით გამგე კომიტეტს და რომლითაც ცდილობდა ესარგებლა მას; მეორეს მხრით იმ ფაქტიურ უფლებაში, რომელსაც მასწავლებელ პერსონალს აძლევს ხელში მათი ყოველ დღიური შრომა სკოლაში, მათი უფრო დაახლოვებითი ცოდნა სასწავლებლის ყველა გარემოებისა: კომიტეტი ცდილობს თავის კანონიური უმთავრესობა ფაქტებით აღვიაროს, მასწავლებლები კი მტკიცედ დაიჭირონ ხელში ის უფლება, რომელიც გამომდინარეობს მათი თანამდებობიდგან. კაცები რო ანგელოზებსავით იყვნენ შეჭურვილნი ყოველის სიკეთით, მაშინ, რასაკვირველია, ზემოხსენებული ტეზისები ერთი ერთმანერთის გამანადგურებლად არ ჩაითვლებოდენ, ანტიტეზობას არ გასწევდენ. მაგრამ რადგანაც კაცი საზოგადოდ ცბიერ ეშმაკს უფრო ჰგავს, ვიდრე ზეციერ ანგელოზს, ამიტომაც ადვილად მოხდება ხოლმე ყოველ გვარი ინტერესების შეტაკება. ზემოხსენებული თეორეთიული დადგენა რო შევუფარდოთ ამ წერილის საგანს, აი რა გამოვა: ორი ყოვლად ცნობილნი წევრნი სკოლის გამგე კომიტეტისა ამ უკანასკნელის სახელით აღვიარებენ: საზოგადოებამ სასწავლებელი მოგვანდო ჩვენ; დროებით ჩვენა ვართ იმის პატრონი და რადგანაც პატრონობას ყოველგან უფლება მოსდევს ვრცელი და დაწვრილებითი ზედამხედველობა გასწიოს საქმეზე, ამიტომაც ჩვენ ვადგენთ სასწავლებლის პროგრამას, სწავლის პლანს, ვიპატიჟებთ და ვითხოვთ ინპექტორს, მასწავლებლებს და აღმზრდელებს, ვაქეზებთ კეთილ მიმართულებაში, ვიკავებთ ბოროტში, ვაძლევთ შენიშვნას. მასწავლებელი პერსონალი ეუბნება პასუხად სიტყვით და საქმით: უკაცრავად ბატონებო, თუმცა წესდების

*) იხ. «დროება» № 109.

მე საქმე, სხვა ღონის-ძიებას ვერასა ხმარობენ, თუ არ გაცალკევებას ჭირიანის საქონლისას და მძოვრის ღრმად მიწაში ჩაფლას. ჩვენც, რასაკვირველია, ამ განათლებულ ქვეყნებს წინ ვერ წავუსწრობთ და სხვა ღონეს ვერას მოვნახავთ ამ სენის თავიდამ ასაცილებლად.

ამისათვის საჭიროა, მალე, რაც კი შეიძლება მალე, და არა ჩვენებურად, ზოზინით, მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციამ და შემდეგი საშუალება მიიღოს:

1) აეკრძალოთ მისვლა-მოსვლა საქონლით იმ სოფლებში, რომლებშიაც ჭირია გაჩენილი. თუ სოფელი დიდ გზაზედა სძევს, ან სხვა გზაზედ ატარებინონ საქონელი, ან სოფლელებს აეკრძალოთ გზაზედ საქონლის გამოშვება. მამასახლისი სასტიკს პასუხის-გებაში იქმნეს მიცემული, თუ ამ წესს გადავიდა.

2) ჭირით დახოცილი საქონელი ღრმად მიწაში ჩაიფლას ტყავიანად, სიკვდილის უმალვე.

თუ ეს ორი ღონის-ძიება მალე ვიხმარეთ, შეიძლება ჭირმა თავის ასპარეზი შემოიფარგლოს და მალე შეწყდეს. და თუ ასე არ მოვიქეცით, თუ ჭირიან საქონლის პატრონებს არ ავუკრძალეთ საქონლით მისვლა-მოსვლა, ტყავების გაძრობა და ხმარება, ხანდისხან ჭირიან საქონლის ხორცის ჭამაც,—მაშინ არა ერთსა და ორს სოფელს, იქნება მთელს მაზრასაც შეხვდეს თავის ირმა-ხარებთან გამოსალმება და იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდნა, რომ ათსა და ოცს წელიწადს სული ველარ მოიბრუნოს.

ჩვენ გვესმის, რომ ავკაცობასა ჰგავს,—მოვუსპოთ გლეხ-კაცებს ღონის-ძიება ჭირით მოკლულ საქონლის ტყავისა ქალამანი მაინც გამოიჭრას, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთს კაცთან უწყალოდ მოპყრობა სჯობს მთელის მაზრის დაღუპვას.

მაშ კიდევ მოვაგონებთ, ვისდამი ჯერ არს, რომ მალე განკარგულება მოახდინონ და ჭირით დაზიანებულს სოფლებს შემოარტყან ის «მოჯადოებული წრე», რომელზედაც გადასვლა თვით ზარდანქეშანის ლოცვითაც შეჭირვილს არ შეეძლოს.

## იმერეთიდამ გვწერენ:

1866 წლიდამ სასულიერო სასწავლებლები მთლად სასულიერო წოდებას დააწვა კისერზე შესანახავად. დღეს დიდი ფული იკრიბება სასულიერო სასწავლებლების შესანახავად სამღვდელოებისაგან. ამისთანა დიდის მოვალეობის ასრულებისთვის სამღვდელოებასა აქვს მინიჭებული ზოგიერთი უფლებაა. სამღვდელოებამ უნდა განიხილოს სასწავლებლის ხარჯი და თუ მან არ დაამტკიცა წლიური ხარჯი (სმეტა) ისე ფულების დახარჯვა არავის შეუძლიან. მაგრამ შემდეგ ამ ხარჯის დამტკიცებისა კი არავინ რას კითხავს მას. ამასთანავე სამღვდელოებასა ჰყავს თავის წარმომადგენლად ორი სამღვდელო პირი სასწავლებლების სამმართველოებში. ესენი სამღვდელოების მაგიერ უნდა ადევნებდენ თვალ-ყურს ყოველსავე, მაგრამ კაი ამისთანა წარმომადგენლების ყოლას.. თუ კარგად გაწყობილნი იქმნენ სასწავლებლების ზედამხედველებთან ხომ რა კარგი; თუ რამე დაუწუნეს ზედამხედველს და არ დაეთანხმნენ, მაშინ მიუცილებელი საქმეა, ბარგი უნდა აიკრან. ჯამაგირი მათ არაფერი აქვსთ დანიშნული და უკანასკნელ დროში განა ბევრს შეხვდებით, რომ უფულოდ იმსახუროს და რამე გააკეთოს?..

წარსულ წელს გამოიცა ბძანება, რომლის ძალითაც ყველა ეპარქიებში ინიშნება სარევიზიო კომიტეტი. ამ კომიტეტს არჩევს მთელი სამღვდელოება, რომ ნიადაგ ყური უგდოს სასწავლებლების შესავალ გასავალს და ყოველ ნივთიულობის ყიდვას. მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამ ბრძანებამ კავკასიის მთებამდის მოატანა და იმას აქეთ ველარ გამობედა! ეს ბძანება საქართველოს საეგზარხოსოში არ მოქმედებს. რატომ გამოირიცხა ჩვენი სასწავლებლები, კაცმა არ იცის. იქნება სინოდს ჰგონია, რომ აქაური სამღვდელოება სასწავლებლების შესანახავად არაფერს იხდიდეს თავის ჯიბიდამ? მე მაინც-და-მაინც არც ერთი სასწავლებლის ზედამხედველი არა მყავს სახეში ამ შემთხვევაში. თუ პეტერბურღის და მოსკოვის ეპარქიებში სასწავლებლების ზედამხედველები საჭიროებენ სარევიზიო კომიტეტის დანიშვნას, ჩვენში, რასაკვირველია,—მეტად არის საჭირო. თუ იქ არა აქვსთ ნდობა სასწავლებლების ზედამხედველებისა, აქ რით დაიმსახურეს იმათ ამისთანა ნდობა? თუ რუსეთისკენ სასწავლებლების ზედამხედველები ხარჯვენ სამღვდელოების ფულებს უთავბოლოდ და ცუდად—ჩვენსკენ რა ნახეს და რით დარწმუნდენ, რომ ჩვენი სასწავლებლების ზედამხედველები სამღვდელოების ფულებით არ ისარგებლებენ?..

მივაქცევ ამაზედ სამღვდელოების ყურადღებას. რიგია ამაზედ ჩამოაგდონ ლაპარაკი თავიანთ ყრილობებზე და აღძრან კითხვა რათა მიეცეს მათ უფლება სარევიზიო კომიტეტის დანიშვნის. სრულიად დარწმუნებული ვარ. რომ ეკონომიური მხარე სასწავლებლებისა გაუმჯობესდება ამისთანა სარევიზიო კომიტეტების დაარსების შემდეგ.

დ. ღ.

## ახალი ამბები.

≈ გურიიდამ გვწერენ: ოზურგეთის მახლობლად, სოფ. მაკვანეთში გაჩნდა ძროხის ჭირი, რომელიც საშინელის სისწრაფით ვრცელდება და შეუბრალებლად ჰხოცავს საქონელს. აგერ რამოდენიმე კვირა გადის მას შემდეგ, რაც ამ ჭირმა თავი იჩინა, მაგრამ ჯერ არავინ ყურადღებას არ აქცევს; ამისთვის, ძლიერ საჭიროა ბატონო რედაქტორო, ეს გარემოება გამოაცხადოთ თქვენის პატივცემულ გაზეთში. იქნება, ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება და რაიმე საშუალებით დაგვიხსნას ამ საშინელის ჭირისგან, რომელმაც წარსულის ომიანობის დროს თითქმის სულ მოსპო გურიაში საქონელი. საშუალება, რაც შეიძლება, მალეა საჭირო, რადგან ჯერ ეს ჭირი მარტო სოფ. მაკვანეთში არის და ამისთვის ეხლა უფრო ადვილია მისი მოსპობა, ვიდრე მაშინ, როცა სხვა სოფლებშიაც გადავა.

≈ ჩვენ მივიღეთ ბიპსისაგან გაკეთებული ბიუსტი ჩვენის გამოჩენილის პოეტის შოთა რუსთველისა, რომელიც ბ-რ. ჩარკვიანის წინადადებით გაუკეთებია სკულპტორს შლიტერს. ეს ბიუსტი გაკეთებულია იმ სურათზედ, რომელიც უეჭველია ჩვენს მკითხველს ხშირად ენახება და რომელზედაც ამბობენ იერუსალიმის კედელზედ დახატულ სურათიდამ არის გადმოღებულიო. თუმცა ამ ბიუსტს უსწორ-მასწორობა ეტყობა და პირისახეც დაჩქვლეთილი აქვს, მაგრამ სახის მეტყველება კარგად არის გარდმოცემული.

≈ შაბათს საღამოზედ, 9 საათზედ, თბილისში—კიდევ გაჩნდა ცეცხლი. იყეს მალაზიაში, ბულვარის ახლო, მირიმანოვის სახლების გვერდით, სადაც ოლქის სასამართლოა, სამსაჯულო პალატა, ნოტარიაები და სხვ. კიდევ კარგი,—ეს ამბავი იმ დროს მოხდა, როდესაც ბულვარი

---

ძალით ეგ ყოველიფერი მონიჭებული გაქვთ, მაგრამ ზნეობით კი ვალდებულნი ხართ ცოტა შეიკავოთ თქვენი თავგასულობა; თქვენ ბევრით მორს სდგეხართ სკოლაზე, ვიდრე ჩვენ, რომელნიც ყოველ დღე ვტრიალებთ ამ საქმეში, ვაწარმოებთ მას, რომელთაც უფრო დაახლოვებით ვიცით სასწავლებლის გონებითი და ზნეობითი სურათი, უფრო ზედ-მიწევნითი შეგვიძლიან ვუჩვენოთ მისი საჭიროება; თუ ღირსად ჩაგვირიცხეთ და ამოგვირჩიეთ სკოლის მოძღვრად, მოგვეცით შეძლებაც და თავისუფლებაც, საქმე წავიყვანოთ ისე, როგორც გვესმის ჩვენ და არა თქვენ.

«რა ჯანაბაა, იტყვის უმზაკვრო მკითხველი, ეს თითქო ერთნიცა და მეორენიც მართალს ამბობენო, მაგრამ ამ საქმეში ორი სიმართლე ხომ არ შეიძლება, მაშ სად არის ნამდვილი ჭეშმარიტებაო?» ამ კითხვის რიგიანი პასუხის-გება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ აღვშორდებით, განს გავუდგებით იმ ჩვეულებრივ მოსაზრებას, რომელშიაც აღზრდილნი ვართ, როცა აღრიცხვაში მივიღებთ საქმის იმ ახალ-მხარეებს, რომელთაც წარმოადგენს ჩვენი სასწავლებელი; თუ ესე არ მოვიქეცით, ჩვენ ვერაფერ საფუძვლიან გადაწყვეტილებას ვერ დავადგენთ, ციხეს ვერ ავაშენებთ. ამ საქმეში ჩვეულებრივ რო ვიბჭოთ, რასაკვირველია გამგე კომიტეტის ზოგიერთთა წევრთა მოთხოვნილება სრულიად ნამდვილ და ზომიერად უნდა ჩაირიცხოს. მართლაც და რა არის გამგე კომიტეტი ამ საქმეში? სწორედ იგივე, რაც საოლქო მზრუნველი სახელმწიფო გიმნაზიების შესახებ; როგორც ის არავითარ ანგარიშს არ აძლევს თავის განკარგულებაში არც დირექტორს, არც მასწავლებლებს, ისე გამგე პირნი ვალდებულნი არ არიან, ვთქვათ, აუხსნან მასწავლებლებს რად შემოიღეს ეს წესი სკოლის შესახებ და არა სხვა; როგორც ზემოხსენებულ პირსა აქვს უფლება მოიწვიოს და დაითხოვოს ყოველი თავისი ქვეშევრდომი, განკიცხოს და დააჯილდოოს, ისე კომიტეტსა აქვს ნება მოიქცეს, როგორც სურს. მაგრამ ის საქმენი, რომელთა წარმომადგენელნი არიან ეს თვითეული და კოლლექტიურული პირნი დიდად და დიდად განსხვავდებიან ერთმანერთში, ამიტომაც მნიშვნელობა მზრუნველთა პირთა სულ სხვა-და-სხვა ნაირი უნდა იყოს, გიმნაზია არის სახელმწიფო დაფუძნილება; რასაკვირველია ის უნდა წარმოებდეს იმ საერთო პლანის თანახმად, რომელიც დედა-ბოძად დადებულია მმართებლობის მეხანიზმში. ყველას გაუგონია რომ ამ მეხანიზმს ჰქვიან ცენტრალიზაცია. ყოველი დაფუძნილება რომელიმე უწყებისა ემორჩილება ერთ ცენტრალურ დაფუძნილებას—სამინისტროს; ეს უკანასკნელი არის დამადგენელი ყოველ-გვარის წესისა, რიგისა და განკარგულებისა იმისათვის ჩაბარებულ ნაწილში. არც სხვა უწყებას, არც საზოგადოებას არ აქვს უფლება რაიმე მოთხოვნილება წარუდგინოს სამინისტროს, ან უარ ჰყოს მის განკარგულება. გიმნაზიის მასწავლებლებმა—კერძოდ ჩვენ საგანზე რო დავიწყოთ ლაპარაკი—კარგად იციან რა ვალდებულებას იდებენ კისერზე როცა უდგებიან ამ თანამდებობას, ამიტომაც ყოველი მათგანნი ძალა-უნებურად ემორჩილება ყველა იმას, რისიც ბრძანება მოდის ან სამინისტროდგან, ან მაზრის უფროსისგან, იქნება გულში ძალიანაც არ ეჭაშნიკებათ ეს განკარგულებანი, მაგრამ ხმა-მაღლა საქვეყნოდ ვერ ჰბედავენ იმით კრიტიკას.

თბილისის სააზნაურო სკოლა კი სულ სხვა სურათს წარმოადგენს: ეს გახლავთ საზოგადო და არა სახასო საქმე, დაფუძნებული კერძო პირთა კრებისგან; მასში მონაწილეობენ არა თუ მარტო გუბერნიის თავად-აზნაურობა, არამედ ყოველი, ვინც კი წელიწადში სამ მანეთს შეიტანს. აქ სახელმწიფოს არავითარი შრომა და ხარჯი არ მოსვლია, მისი მონაწილეობა შემოკედლებულია მხოლოდ მორალურ ზედა-მეხველობით, ესე იგი, თვალს ადევნებს, რომ არავითარმა ესრედ-წოდებულმა მავნებელმა მიმართულებამ არ მოიკიდოს ფეხი ამ სასწავლებელში. მაშასადამე ამ საქმის პატრონად უნდა ჩაითვალონ ყოველ საზოგადოების წევრი*). პატრონობას,

*) სხვათა შორის აწინდელნი სკოლის მასწავლებლებიც წევრად ითვლებიან.

ხალხით სავსე იყო და მალე გაქრეს, თორემ მირიმანოვის სახლებს რომ მოსდებოდა, ცეცხლის განაჩენი მალე გასწმენდდა ყოველ-გვარ სადაო საქმეებს, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისას.

≈≈ შაბათი საღამო მართლა სახიფათო საღამო იყო თბილისისათვის. სწორედ ცეცხლის გაჩენის დროს ორს ძმას მელიქ-სარქისოვებს მოსვლოდათ ერთმანერთთან ჩხუბი და ერთს მათგან მეორე დაეჭრა. ჩ მეელებოდა ბიძა, რომელიც პოლიციის პრისტავად არის და ძმის დამჭრელს ამაზედაც რევოლვერით ეწია. ამ დროს მოექნია ხმალი პრისტავს მელიქ-სარქისოვს თავის დასაცველად და თავის ძმისწული ზედ შუაზე გაეწყვიტა! მნახველებმა გვიამბეს ჩხუბის ალაგას სისხლის ტბორე იდგაო.

≈≈ ბაქოდამ იწერებიან, რომ რაკი ბაქოს რკინის გზა გაიხსნა, დიდძალი საქონელი მოიტანეს აქ ტრანზიტით სპარსეთში წასაღებადო.

≈≈ მღვდელი ანდრია ბერაძე სასაცილო ამბავს გვატყობინებს: შარშან «შრომას» ვიბარებდი და ამ წელშიაც მიგზავნიან ჩემდა უნებურადაო. ამ წელს კი «დროება» დავიბარე და კიდეც მომდიოდა მაგრამ ამ ბოლოს დროს ფოსტის ჩინოვნიკი «დროებას» არ მაძლევს, თუ «შრომაც» არ წამოვიღეო. «ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ» ეს ამბავიო.

მართლა რომ ამ ამბის ახსნა ძნელია, თუ არ იმ გარემოებით, რომ ხსენებული ფოსტის ჩინოვნიკი ზომაზედ მეტად მტკიცე აღმასრულებელი ყოფილა თავის მოვალეობისა და უნდა ყველაფერი უკლებლივ ჩააბაროს ადრესატს. ეს ფოსტის ჩინოვნიკიც ალბად იმ ჯურისა უნდა იყოს რომელზედაც «ნაროვში» იყო მოხსენებული ამ დღეებში და რომელსაც შოთა რუსთაველის სახელზედ რომ წერილი მიუვიდეს, თავს დასდებს და ჩააბარებს კი. ეს ყველა კარგი, მაგრამ „დროების" მიუცემლობა რაღა არის, ეს ჩვენთვისაც გამოცანად რჩება.

## წესდება

სასოფლო-მეურნობის სკოლისა, პირველ-დასაწყისი მოსამზადებელი კურსით, სოფელს წინამძღვრიანთ-კარში.

(დასასრული *).

§ 6.

ფერმის შემოსავლიდგან და მოსწავლეთა ნაწარმოების გაყიდვით შემოსულის ფულიდამ ყოველ-წლივ გადაიდება: 10 პროცენტი სკოლის სათადარიგო თავნის შესადგენად; 3 პროცენტი, გარდა ჯამაგირისა, ჯილდოდ სკოლის ზედამხედველისა და მასწავლებელთა; გარდა ამისა რაიმე ნაწილი, სკოლის რჩევის მიხედვით, იმ მოწაფეების სასარგებლოდ, რომელნიც ამ სკოლის კურსს დაასრულებენ. ეს ნაწილი, სკოლის რჩევის მიხედვითვე, განუზიარდება კურსშესრულებულთა მათის წარმატებისა მებრ სკოლაში და ფერმაზე.

§ 7.

თავისუფალი ფული, 300 მანეთზე მომეტებული, შეტანილ იქმნება სამუდამო საჭიროების სახმარად, ერთს რომელსამე თბილისის საკრედიტო ბანკში.

§ 8.

თანახმად აწინდელის სჯულ-კანონებისა, სკოლა იქნება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ხელ-ქვეშ; განაგებს-კი მას უახლოესად თბილისის საგუბერნიო საერო სასწავლებლების დირექტორი. სკოლას ხელ-მძღვანელად ექმნება ის წესდებანი, რომელნიც გერმო სასწავლებლებს შეეხებიან.

*) იხ. «დროება» № 109.

§ 9.

უმაღლესი ყურადღება სკოლაზე, განკარგულება იმის მეურნეობის შესახებ, პასუხის-მგებლობა მისთვის ჯეროვნის მმართველობის წინაშე და საზოგადოდ წარმომადგენლობა სკოლისა ეკუთვნის სკოლის მზრუნველს. თავდა პირველად მზრუნველად იქმნება დამაარსებელი სკოლისა ი. ი. წინამძღვრი-შვილი; შემდეგ-კი, ექვს წელიწადში ერთხელ, ზედამხედველს ამოირჩევს სკოლის ზემოხსენებული მფარველი და შემწე საზოგადოება საზოგადო კრებით. ამ გვარად ამორჩეულს მზრუნველს უნდა ჰქონდეს, შეძლებისა მებრ, სკოლის კურსის შესაფერი საზოგადო სწავლის სამასწავლებლო უფლება. ამორჩეულის სკოლის მზრუნველის კანდიდატს გამგე კომიტეტი წარადგენს დასამტკიცებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან.

§ 10.

სწავლის ნაწილს სკოლისას განაგებს ზედამხედველი. ზედამხედველი ამოირჩევა სკოლის მზრუნველისაგან საერო სასწავლებელთ დირექტორის თანხმობით, იმ პირთაგან, რომელთაც კანონით აქვთ უფლება სწავლისა და აღზრდისა მესამე ხარისხის გერმო სკოლებში მაინც. ზედამხედველის მოვალეობაა: ა. ასწავლოს სკოლაში; ბ. თვალ-ყური იქონიოს, რომ სხვა მასწავლებლები და საპრაკტიკო ხელთ-მძღვანელები რიგიანად და ბეჯითად იყვნენ თავის თანამდებობაზე და რომ აგრეთვე წესიერება სწავლის ნაწილისა დაცულ იქმნას სკოლაში და გ. იკისროს ხოლმე მოვალეობა სკოლის მზრუნველისა როგორათაც იმის გარეთ ყოფობაში და ავადმყოფობაში, აგრეთვე როდესაც მზრუნველის ადგილი [illegible] არ არის.

§ 11.

მასწავლებლები და სჯულის მოძღვარი დაინიშნებიან სკოლაში იმავე წესით როგორც იმისი ზედამხედველი, იმ პირთაგან, რომელთაცა აქვთ სწავლების უფლება. საპრაკტიკო ხელმძღვანელნი დაინიშნებიან სკოლის მზრუნველის ნებაყოფლობით. რიცხვი მასწავლებლებისა და საპრაკტიკო ხელთ მძღვანელებისა იმდენი იქმნება, რამდენსაც თვით საჭიროება მოითხოვს.

§ 12.

განსახილველად ყველა საგნების, რომელნიც ნამდვილად სკოლას შეეხებიან, შესდგება სკოლის რჩევა, იმის მზრუნველის თავმჯდომარეობით, სჯულის მოძღვრისაგან, მასწავლებელთაგან და საპრაკტიკო ხელთმძღვანელთაგან. რჩევის გადაწყვეტილებას ძალას აძლევს უბრალო უმეტესობა ხმებისა როდესაც ხმები თანასწორეა, თავმჯდომარის ხმა სძლევს.

§ 13.

სკოლის რჩევასა აქვს ბეჭედი საკუთარ სახელ-წოდებით.

§ 14.

სრული თეორეტული და პრაკტიკული კურსი სკოლაში გასწევს ექვსს წელს. სკოლას შეადგენს სამი კლასი: პირველდაწყებითი საზოგადო სწავლისა ოთხის განყოფილებით და ოთხის წლის კურსით და აგრეთვე ორი სპეციალური ერთის წლის კურსით თვითეულში.

§ 15.

სკოლაში მიღებულ იქნებიან ბავშვები ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნობისა. ის ბავშვები, რომელნიც პირველ კლასში შედიან, უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თორ-

---

როგორც მოგეხსენებათ, ზრუნვაც მოზდევს და რადგანაც ეს უკანასკნელი ყოველ კაცს თავისებურად ესმის, ამიტომ აუცილებელია ამ საქმეში ბაასი, ბჭობა საზოგადო საქმის გამოკვლევა. აქ სრულიად ალაგი არა აქვს იმ შემკავებელ საბუთს, რომელიც სუფევს სახემწიფო სასწავლებლებში, აქ ყოველი წევრი საზოგადოებისა, ყოველი საქმის თანამშრომელი მეუფედ რიცხავს თავის თავს, განიხილოს ყოველი საქმის ვითარებანი, გაარჩიოს მწარმო პირთა მოქმედება, აქოს და აძაგოს და ამის-და-გვარად ამორჩევის დროს მისცეს ან არ მისცეს თავის კენჭი. ერთი სიტყვით გამგე კომიტეტს არ შეიძლება ჰქონდეს ის ავტორიტეტი, პრესტიჟი, რომელიც კანონის ძალით მინიჭებული აქვს უხუცესს მოხელეს რაიმე სახაზო ნაწილისას. პრაქტიკული შედეგი ზემო-ნათქვამისა ერთი გახლავთ: გამგე კომიტეტის წევრთა სრულიად უნდა ამოირეცხონ გულიდგან ის წარმოდგენა, ვითომ მხოლოდ ისინი არიან საქმის მწარმოებელნი, ვითომ მხოლოდ მათა აქვთ უფლება განაგონ საქმე თავისებურად, არავის დაეკითხონ, ყური არ დაუგდონ.

სწორედ ეს დაივიწყეს ორმა წევრმა გამგე კომიტეტისამ და უსაფუძვლოდ წარმოიდგინეს, ვითომ იმათ ბრძანების მეტი არა უნდოდეთ-რა, რომ საქმემ ისე მიიმდინაროს, როგორც სურდათ. არავითარი მეგობრული კავშირი არა სუფევდა მათ მასწავლებელთა შორის; არასოდეს არ მიიწვევდენ უკანასკნელებს კომიტეტის სხდომაზე, არაფერში რჩევას არ ჰკითხავდენ, არ გაიგებდენ იმათ აზრს შესახებ სკოლის შინაგან ცხოვრებისა. აქ მასწავლებლები მოკლებულნი იყვნენ იმ უფლებასაც, რომელიც მინიჭებული აქვთ სახემწიფო სკოლების მასწავლებლებსაც კი. პედაგოგიური რჩევა სულაც არ სუფევდა იმ სივრცით, როგორც ხსენებულ სასწავლებლებში, რასაკვირველია რომ ამ გვარი ურთიერთობას მოჰყვა თან დაშორება, გულ-გრილობა და საკმაო იყო ამოჩენილიყო რაიმე პაწაწინა საბუთი, რომ ატეხილიყო განხეთქილება, შუღლი, ლანძღვა; წარსულმა წელმა უხვად მოიტანა ამ გვარი საბუთები. ეს «ამა და ამ სისტემაზე არ ასწავლით და ამიტომაც შენი მოწაფენი იწევენ უკან და არა წინაო», — შენიშნავდა მასწავლებელს გამგე წევრი; «რა ვქნათ, რო თქვენგან ნაქები სისტემა საჯინიბოში უფრო ივარგებს, ვიდრე სკოლაშიაო», — უპასუხებდა შენიშნული; «შეცდომაა რო თქვენ ამ და ამ სახელმძღვანელოსთვის თავი დაგინებებიათო», — «უკაცრავად, თქვენს რეკომენდაციას ორშაურადაც არ ვიყიდიო», და სხვა ამ გვარი ალერსიანი ლაპარაკი.

რასაკვირველია რო სკოლამ ბევრი წააგო ამ განხეთქილების გამო და ბევრსაც წააგებს, თუ საქმეს როგორმე არ ეშველა და საძირკვლიანად არ შეიცვალა თვით აწინდელი პრინციპი თანამდებობის განაწილებისა. ჩვენის აზრით აქ ერთი საშველი საშუალებაა: სკოლის კომიტეტის უფლება გაიყოს ორად: ეკონომიურად და პედაგოგიურ ნაწილად; პირველი, ეკონომიური, მთლად დარჩეს კომიტეტის უფლების ქვეშ; მეორიდგან გამგე პირთ მიენიჭოს უფლება მასწავლებლების მოწვევისა და დათხოვისა—იმ აუცილებელის პირობით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანარჩენ მასწავლებელთ თანასწორი უფლება ჰქონდეთ კომიტეტის წევრებთან ერთად. მერე კომიტეტს დარჩეს უფლება რეპეტიციებზე და ეგზამენებზე დასწრობისა. მასწავლებლების რჩევას მიენიჭოს ვრცლად პედაგოგიური მხარე: დაფუძნება სკოლის დისციპლინისა, დანიშვნა გაკვეთილებისა, პროგრამის დადგენა და სხვა. მგონია რო ამ გვარივე აზრი წარმოვსთქვა წარსულმა საზოგადო კრებამ, როცა დაადგინა რომ გამგე კომიტეტის თვითეულს წევრს არა ჰქონდეს უფლება მისცეს რაიმე შენიშვნა მასწავლებელს, და თუ სათქმელი აქვს რამე, აუწყოს კომიტეტს, რომელიც გადასწყვეტს, მოახდინოს თუ არა ამ საგანზედ განკარგულება. სამწუხაროდ წლიურის კრების პროტოკოლის შემადგენელს დავიწყებია ამის ჩაწერა.—რადა?

ხ. ხ—დ—ი.

მეტის წლისა. ოთხის წლის შემდეგ, სკოლის გახსნის დღიდამ, შეიძლება მიღებულ იქმნენ შესაფერის წლოვანების უმაწვილი კაცები მეორე სპეციალურ კლასში. ვინც პირველ კლასში შედიან, იმას არ მოეთხოვება არავითარი მომზადება; იმათ-კი, ვინც მეორე კლასში შედიან, უნდა ჰქონდეთ შეთვისებული ამ სკოლის დასაწყისის კურსის შესაფერი მომზადება.

§ 16.

რამდენი შაგირდი უნდა იყოს სკოლაში ამას გადასწყვეტს სკოლის რჩევა, იმის ღონის მიების მიხედვით.

§ 17.

უმაწვილების შერიცხვას სკოლაში მოახდენს სკოლის რჩევა ყოველ წლივ სახელდობრ 1-ს სეკტემბერს. შერიცხვის შესახებ სიტყვიერის თხოვნით წინადვე მიმართვენ სკოლის მზრუნველს, ანუ ზედამხედველს დედ-მამანი, ანუ იმათნი მოადგილენი. თუ ვინიცობაა, რიცხვი თხოვნათა მომეტებული შესდგა რჩევისაგან დაწესებულ რიცხვზე (§ 16), მაშინ შერიცხვა შაგირდებისა სკოლაში გადასწყდება წილის-ყრით, სპეციალურ კლასში კი ცოდნის მიხედვით. სახელი, გვარი, ჰასაკი და სარწმუნოება სკოლაში მიღებულის უმაწვილებისა და აგრეთვე წოდება, სახელი და გვარი იმათის დედ-მამისა, ანუ იმათის მზრუნველებისა ჩაიწერება ცალკე წიგნში, რომელიც ამ საგნისთვის უნდა ჰქონდეს სკოლის რჩევას.

§ 18.

სკოლის შაგირდები არიან მოსიარულენი; მაგრამ თუ ღონის-მიება სკოლისა ნებას მისცემს, მაშინ შეიძლება პანსიონიც გაიხსნას.

§ 19.

შაგირდები სწავლობენ სკოლაში და სარგებლობენ სწავლისთვის საჭირო წიგნებით უფასოდ.

§ 20.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ შემდეგი საგნები:

ა) საღმრთო სჯული;

ბ) რუსული და ქართული ენები;

გ) არითმეტიკა და პრაკტიკული გეომეტრია;

დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია კავკაზისა, რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა;

ე) ელემენტარულნი ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია; განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული კავკაზიის მცენარეებზე და პირუტყვებზე;

ვ) მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა, ტყის მოვლა, ფუტკრის გაშენება, პირუტყვის მოვლა, სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტეხნოლოგია;

ზ) საზოგადო მისახედრი ჰიგიენა და პირუტყვთ მკურნალობა;

ჱ) ხაზვა;

თ) ხორით გალობა და სიმღერა;

შენიშვნა 1. სამეურნეო იარაღების გაკეთებისათვის და გასხლებისათვის სკოლასთან იქმნება სახელოსნო, რომელშიაც უმაწვილები სწავლობენ ხელოსნობას: ხუროობას, მჭედლობას, სლესარობას და ბოჭკის კეთებას.

შენიშვნა 2. რომ სკოლის შაგირდები მიჰხვდნენ ჰიგიენას და პირუტყვთ მკურნალობას ხან-და-ხან თბილისიდამ მოწვეულ იქნებიან სპეციალისტები.

შენიშვნა 3. თუ რომ სკოლაში შევლენ უმაწვილები სომხთაგანნი არა ნაკლებ ნახევარი ყველა შაგირდებისა, მაშინ იმათ სასწავლებლად საღმრთო სჯულისა და სომხურის ენისა მოწვეულ იქნება სომეხ-გრიგორიანთ აღსარების მღვდელი.

§ 21.

სწავლა სკოლაში, მთელს მის კურსის განმავლობაში, იქნება ამ წეს-დებასთან ჩართულის სასწავლო პლანით, ქართულს ენაზე. პირველის სასწავლო წლის მეორის ნახევრიდამ იწყობა სწავლება რუსულის ენისა, რომელიც შემდეგ გასწევს სკოლის კურსის განმავლობაში. შეცვლა ამ მუხლში ნაჩვენების სასწავლო პლანისა მოხდება თანხმობით სამოსწავლო მმართველობასთან.

§ 22.

სკოლის კურს-შესრულებულს შაგირდებს სკოლის რჩევა აძლევს ატესტატებს იმათ წარმატებაზედ და ყოფა-ქცევაზე. უკეთესებს იმათგანს რჩევა აჯილდოებს სასოფლო-სამეურნეოში სახმარის საგნებით, გარდა ამისა, კურს შესრულებულნი მიიღებენ, რჩევის მიხედვით, იმათის წარმატებისამებრ სკოლაში და ფერმაზე, როგორათაც შეძლებას ფულსათ სახოსტატოსა და სასკოლო ფერმის ნაწარმოების შემოსავლიდამ, აგრეთვე ხეხილის ხეებს, რომელნიც შაგირდებს გაუშენებიათ ცალ-ცალკე თვითეულის მათგანისთვის დანიშნულს ფერმის ადგილის ნაჭერზედ.

§ 23.

კურს-შესრულებულ შაგირდებს შეუძლიანთ, თუ ისურვებენ დარჩნენ, სკოლის რჩევის ნება-რთვით, ფერმასთან იმ განძრახვით, რომ პრაკტიკით მომეტებული წარმატება შეიძინონ.

## განცხადებანი


თბილისის საობლო სასამართლოს, (сиротскій судъ) რადგანაც ცხრას ივნისს ცეცხლი მოეკიდა და ყველა საქმეები დაიწვა, სურს შეკრიბოს და სისრულეში მოიყვანოს ყველა საქმეები; ამისათვის უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც აპეკუნათ, ანუ ობლების მზრუნველათ არის დანიშნული, წარმოუდგინოს საობლო სასამართლოს ყველა ის უქაზები ანუ სხვა წერილობითი განკარგულება, რომელიც ამ სასამართლოდან მისვლიათ, აგრეთვე კოპიოები აპეკუნობის ანგარიშებისა, ნუსხა ობლების ქონებისა და მოხსენება ვის რამდენი ობლების ფული აქვს და სხვა ყველა ცნობები, რომელნიც საჭირონი არიან საობლო სასამართლოსათვის, რომ კანონიერად შეეძლოს წაყვანა საპეკუნო საქმეებისა.

საობლო სასამართლო ამით აცხადებს, რომ პირველს ოქტომბრამდე ამ წლისა მოუნდება ძველი საპეკუნო საქმეების სისრულეში მოყვანას და არც ახალი აპეკის საქმეები იქნებიან შეყენებული.

კანცელარია სასამართლოსი იმყოფება ერთო მუკიმში, რეუტოვის ქუჩაზედ, ზედიროვის შესახვევში, რეალური გიმნაზიის ახლო, ჩინოვნიკა მიზინკოვის სახლში № 9.

არზები და მთხოვნელები მიიღება 10—12 საათამდე.

თავმჯდომარე საობლო სასამართლოსი (3—1) ნ. შანშიევი.

ისყიდება

საყინულე წმინდა ყინულით.

იკითხეთ ძელზერის ვანდიტერსკის ქუჩეში, პიეწოიში, ზუბალოვის სახლში. (2—2)

იაფად ისყიდება:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ. 1000 ბროლის სტაქნები 25 კ. თითო. 600 დანა-ჩანგლის დასადები 10 კ, 3000 ოზმა ფოსტის ქაღალდი 1 მ. 20 კ. დიდ ქაღალდი ჩაი 1 მოკრეფისა 1 მ. ჩამოვიელი ფუ-ჩე-ფუ 2 მ. გირვ. და ბროლის გრაფინკები ინგლისის-მაღაზიაში. (10—8)

ახლად გამოცემული წიგნი
თომას რუსთაველის
(ქართველი-ვეფხვის-ტყაოსნისა).
ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში თბილისში.
ფასი ორი მანეთი.

უმაღლეს კურსებზედ.

მოსწავლე ქალი ეძებს ზაფხულის განმავლობაში გაკვეთილებს თბილისში.

მლიზავეტინსკის ქუჩა სახლი № 78. (8—7)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—89)



მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადი თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ფორტეპიანოები

ფუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—21)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, გრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარკი—20 კ. (100—27)


Дозв. цензурою Тифлисъ, 12 Іюня 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.